



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

№22-23 (936-937) გავიდა 1998 წლიდან

22-27.06.2021



გრიზირება 2021

აივნი სასაქონლო

ინტელექტი



ლიტერა



გამომცემლობა
ოცდამეერთე



სხვადასხვა

საქართველოს მაცნე



კლიმ




აირჩიე სახელმძღვანელო



გამომცემლობა „ინტელექტი“ წარმოგიდგენთ

მათემატიკა

მნიშვნელოვანი სიახლე IX კლასის მათემატიკის სწავლა-სწავლებაში!



ახალი მრიყირაბული
სახელმძღვანელო

მუსიკა


მუსიკის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი მარიკა ჩიკვაძე, გამომცემლობა „ინტელექტი“ ერთად, წარმოგიდგენთ 2021 წლის სასკოლო სახელმძღვანელოების კონკურსში გრიფინიჭებულ მე-9 კლასის მუსიკის სახელმძღვანელოს.

ნაშრომი შეიცავს შემდეგ კომპონენტებს: მოსწავლის სახელმძღვანელო; მასწავლებლის წიგნი; ელექტრონული რესურსი. სახელმძღვანელოს შინაარსი ემყარება: თანამედროვე კონცეფციებს; მოსწავლეთათვის ნაცნობ სამყაროს.

ვფიქრობთ, სახელმძღვანელო მოზარდს დაეხმარება ფიქრისა და პრობლემის გადაჭრის პროცესში, გააფართოებს მის მუსიკალურ შთაბეჭდილებებს, ინტელექტს. ამასთანავე, ჩამოუყალიბებს და განუვითარებს სხვადასხვა საჭირო უნარ-ჩვევას.

მოზარდს, მისი აღქმითი უნარების შესაბამისად, დაეხმარება მუსიკის მიმართ ინტერესის გაღვივებაში, სისტემაში მოიყვანს მის შესაძლებლობებს, შეუქმნის წარმოდგენას სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს შესახებ, რაც ესოდენ თავისებურ ასახვას პოულობს მუსიკალურ მხატვრულ სახეებში.

სახელმძღვანელოში მასალა წარმოდგენილია მოკლე, ლაკონური, ადვილად წასაკითხი ინფორმაციის სახით. ვცდილობთ, მკითხველთან, ანუ მოსწავლესთან გაუმართოთ დიალოგი. ამ მიზნით ტექსტი დანაწევრებულია, დაყოფილია, ჩართულია კითხვები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მუსიკის გაკვეთილებზე მთავარ პრინციპად მიგვაჩინა ვასწავლოთ მოსწავლეებს მუსიკაზე საუბარი.



ახალი მრიყირაბული
სახელმძღვანელო

თქვენთვის კარგად ცნობილი გამომცემლობა „ინტელექტი“ და მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები: გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მებონია და ლამარა ქურჩიშვილი გთავაზობენ მათემატიკის სახელმძღვანელოთა გრიფინიჭების საექსპერტო კომისიის მიერ უმაღლესი ქულით შეფასებულ, თანამედროვე ტიპის, მაღალი დონის ორიგინალურ სასწავლო წიგნებს: მოსწავლის სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნს.

ახალ სახელმძღვანელოში სასწავლო მასალა შედგენილია ამავე ავტორების წინა წლებში გრიფინიჭებული IX კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს არსებითად განახლების, გაუმჯობესებისა და შინაარსობრივი სრულყოფის საფუძველზე, ახალი სასწავლო სტანდარტისა და წლიური სასწავლო გეგმის სრული შესაბამისობით, ზოგადი განათლების რეფორმის სულისკვეთებით.

სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია მასწავლებლებისა და ექსპერტთა მოსაზრებები: ცალკეა გამოყოფილი საკლასო და საშინაო დავალებები, რომლებშიც მოსწავლეებისთვის მისაწვდომი ფორმით წარმოდგენილია სირთულის სხვადასხვა დონის, მეთოდურად ფართო მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა; კომპლექსური საპროექტო აქტივობები; დამატებითი და შემაჯამებელი ამოცანები; ამოცანები თვითშეფასებისა და გამეორებისთვის.

წიგნში წარმოდგენილია სასწავლო მასალა და აქტივობები, რომელთა შემოქმედებით გააზრება მოსწავლეთა მათემატიკური განათლებისა და შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარებისთვისაა აუცილებელი. სახელმძღვანელოს სტრუქტურა და ვიზუალური მხარეც ხელს უწყობს მასალის აღქმა-გააზრებას.

არსებითი და უადრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მასწავლებლის წიგნმა – წარმოდგენილია ყოველი გაკვეთილის სცენარი, ამოხსნილია თითქმის ყველა ამოცანა, ამასთანავე, მითითებულია ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა ხერხი. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას ემსახურება პრაქტიკული შინაარსის ამოცანები; აქვეა სარეკომენდაციო დავალებები შემაჯამებელი წერებისთვის; სათანადო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები; მითითებები სასწავლო პროცესში დამატებითი (ბეჭდური და ელექტრონული) რესურსების გამოყენების შესახებ. ზოგიერთი მასალა კი მასწავლებლის თეორიული ცოდნის გადრეკილვას ემსახურება.

ეს წიგნი მასწავლებელს ერთგულ და ნაყოფიერ მეგზურობას გაუწევს სასწავლო პროცესში. მასწავლებლები უთუოდ დარწმუნდებიან, რომ დასახელებული წიგნებით შეიძლება ნებისმიერი აკადემიური დონის კლასში წარმატებით წარმართოს სასწავლო პროცესი და ისინი შეძლებენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მოსწავლეთა იმ უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის მიზნებშია გაცხადებული.

ქართული, როგორც მეორე ენა

2021 წელს გრიფინიჭებული მე-7 და მე-8 კლასების სახელმძღვანელოები განკუთვნილია არაქართულენოვანი და ქართული ენის შესწავლის მსურველი მოსწავლეებისათვის და წარმოადგენს I-VI კლასების გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების სერიის გაგრძელებას. კომპლექტში შედის: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი და აუდიოფაილი.


ავტორები: ეთერ მესტირიშვილი და მაია ოლრაიშვილი

წიგნები დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად. სახელმძღვანელოში მოცემულია მასალა გადმოცემულია მოსწავლისთვის გასაგებ, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან ახლოს მდგომი მაგალითებით.

სახელმძღვანელო შეიცავს სავარჯიშოებს, მაგალითებს, ამოცანებს, კომპლექსურ დავალებებს და მოსწავლეს უბიძგებს მივიდეს განზოგადებამდე, რომელიც მკვიდრი წარმოდგენების სახით არის ჩამოყალიბებული. სახელმძღვანელოში ყოველი მომდევნო თემა ეფუძნება წინა თემაზე დამუშავებულ/შეძენილ ცოდნას, განამტკიცებს და ავითარებს მას. მოცემული მასალა გააქტიურებულია მოსწავლის რვეულში მრავალფეროვანი სავარჯიშოებით.

წარმოდგენილი მასალა კარგად ასახავს ენობრივ-კულტურულ თვითმყოფადობას. მოსწავლეები ეცნობიან ქვეყნისა და მეტყველების ეტიკეტს. მოცემულია სოციალურ-კულტურული რეალობები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები და სხვ.

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია ყველა თავის მატრიცა და თითოეული გაკვეთილის სარეკომენდაციო სცენარი, რაც მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვაში.



ახალი მრიყირაბული
სახელმძღვანელოები

სიახლე!

აფხაზური ენა და ლიტერატურა

აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, 2021-2022 სასწავლო წლიდან, აფხაზური ენა შეისწავლონ ახალი სახელმძღვანელოებით.

რიტა ამიჭბა-მარღანია და ირმა ოსია, გამომცემლობა „ინტელექტი“ ერთად, წარმოგიდგენთ 2021 წელს გრიფინიჭებულ აფხაზური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს I-IV კლასებისათვის. თითოეული კლასის კომპლექტში შედის: მოსწავლის წიგნი და მასწავლებლის წიგნი.

აფხაზური ენა და ტრადიციები ხომ ჩვენი საერთო, მრავალფეროვანი კულტურის ნაწილი და სიმდიდრეა.



აფხაზური ენა და ლიტერატურა

დაწყებითი კლასებისთვის

აირჩიე სახელმძღვანელო



გამომცემლობა
ოცდამეერთე

გამომცემლობა 21 / 21 Publishers





+ (995) 322 2 10 32 05 | (+995) 591 60 73 09

გრიფინები



2021

ჩვენი გამომცემლობა გთავაზობთ რუსული ენისა და ინგლისური ენის სახელმძღვანელოთა სერიას, რომელიც გრიფინები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ



სახელმძღვანელოების კომპლექტში შედის:

1. მოსწავლის წიგნი;
2. მოსწავლის რვეული;
3. მასწავლებლის წიგნი;
4. აუდიო მასალა.

www.bukia21st.ge

გამომცემლობა „სწავლანი“ წარმოგიღებინო

ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი

9

ქართული
ლიტერატურა

მოსწავლის ნიშნი I



სწავლანი

გამომცემლობა
„სწავლანი“

ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი

9

ქართული
ლიტერატურა

მოსწავლის ნიშნი II



სწავლანი

ავთანდილ არაბული

9

ქართული
ენა

მოსწავლის ნიშნი



სწავლანი

აირჩიე სახელმძღვანელო

ახალგრიფირებული სახელმძღვანელოები გამოცემლობა კლიო

ბიოლოგია (ID1503)

ავტორი მარინა სეხნიაშვილი



ფიზიკა (ID1508)

ავტორები: რუსუდან ქანთარია, ლეილა ჩიჩუა, დინა ქიმერიძე, ქეთევან სეფიაშვილი




მოქალაქეობა (ID1527)

ავტორები: მაია გოგოლაძე, ეკა სიმსივე, მანანა ჯინჭარაძე, შორენა ტყემალაძე



ხელოვნება (ID1517)

ავტორები: ანა კლდიაშვილი, ნინო დაღანიძე, თამარ ჯაყელი



ძვირფასო პედაგოგებო! „კლიოს“ ავტორებს თქვენ უკვე კარგად იცნობთ, რადგან ჩვენი სახელმძღვანელოები წლებია გრიფირებულია და მათდამი ნდობა და კეთილგანწყობა არაერთხელ დაფიქსირებულა თქვენი მხრიდან.

დიდი სურვილი გვაქვს, ამჯერადაც გვენდოთ და ჩვენ მიერ შექმნილი წიგნებით ასწავლოთ.

სანაცვლოდ გთავაზობთ: ► წვდომას დამატებით ელექტრონულ რესურსებთან; ► კონსულტაციებს შესაბამის საგანში ყველა იმ საკითხზე, რაც მასწავლებლებს საგანთან დაკავშირებით გაუჩნდებათ; ► უფასო ტრენინგებს და კონსულტაციებს, რომლებსაც წარუძღვებიან გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორები.

გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება, შეკითხვა ან კომენტარი ნებისმიერ თქვენთვის საინტერესო საკითხზე სოციალურ ქსელში თუ სახელმძღვანელოს ონლაინ პრეზენტაციის დროს.

ახალგრიფირებული წიგნების ელექტრონული ვერსიები და სახელმძღვანელოების პრეზენტაციების გრაფიკი და ბმული შეგიძლიათ მოიძიოთ ჩვენ ვებგვერდზე WWW.KLIO.GE ან ჩვენს ფეისბუქვერდზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ისევე, როგორც წინა წლებში, როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლების პედაგოგებს, მე-9 კლასში ჩვენი გამოცემლობის წიგნის არჩევის შემთხვევაში, გამოცემლობა სკოლიდან წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე საჩუქრად გადასცემს შესაბამისი საგნის მოსწავლის და მასწავლებლის ახალგრიფირებულ წიგნებს.



ნებისმიერი შეკითხვის ან დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: (032) 234 04 30 ან გვიპოვეთ ინტერნეტში ჰეშთეგით #კლიო

სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ დაათვალიეროთ/ჩამოტვირთოთ ჩვენი ვებგვერდიდან WWW.KLIO.GE ან გვიპოვოთ ფეისბუქზე [PUBLISHINGHOUSEKLIO](https://www.facebook.com/PublishingHouseKlio)



საკონტაქტო ინფორმაცია: 0102, თბილისი, დ.ადამენებლის გამზ. #181, ტელ: (995.32) 234.04.30
ვებ-გვერდი: www.klio.ge; ელფოსტა: book@klio.ge ან kliopublishing@gmail.com [f PublishingHouseKlio](https://www.facebook.com/PublishingHouseKlio)

ბრიფინგული სასაქონლო აუდიტი 2021

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	კლასი	განმცხადებელი	ID	სახელმძღვანელოს დასახელება	ავტორი/ავტორები	კომპლექტის შემადგენლობა	სახელმძღვანელოს	სექტორი	სხვა არსებითი მახასიათებელი	
სახელმწიფო	ქართული ენა და ლიტერატურა	სავალდებულო	IX	შპს „საგამომცემლო სახლი სწავლანი“ (ს/ნ 205243985)	1514	ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი	მოსწავლის ნიგნი (ერთი ნაწილი – ქართული ლიტერატურა და ერთი ნაწილი – ქართული ენა); მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-	
				შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1525	ქართული ენა და ლიტერატურა	მაია მენაბდე, ნათია ფურცელაძე, ნანა სახეჩიძე	მოსწავლის ნიგნი; ერთი ნაწილი – ქართული ენა; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-	
	ქართული, როგორც მეორე ენა	სავალდებულო	VII	შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1484	ქართული, როგორც მეორე ენა 7	ნათია მანია, გიორგი ჭაუჭიძე, ზენაბ ბერაძე, ნონა არევაძე-კოტორაშვილი, ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	არაქართულენოვანი	-	
				შპს „გამომცემლობა ინტელექტი“ (ს/ნ 202959101)	1519	ქართული, როგორც მეორე ენა	ეთერ მესტიერიშვილი, მაია ოლრაპიშვილი	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი; ელ. რესურსი მასწავლებლის ნიგნისათვის (აუდიომასალა)	ქართული	არაქართულენოვანი	-	
			VIII	შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1481	ქართული, როგორც მეორე ენა 8	ნათია მანია, გიორგი ჭაუჭიძე, ნინო ჭანკვეტაძე, ნონა არევაძე-კოტორაშვილი, ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	არაქართულენოვანი	-	
				შპს „გამომცემლობა ინტელექტი“ (ს/ნ 202959101)	1520	ქართული, როგორც მეორე ენა	ეთერ მესტიერიშვილი, მაია ოლრაპიშვილი	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	არაქართულენოვანი	-	
	აფხაზური ენა და ლიტერატურა	სავალდებულო	I-IV	შპს „გამომცემლობა ინტელექტი“ (ს/ნ 202959101)	1505	აფხაზური ენა და ლიტერატურა	რიტა ამიჭა-მარლანია, ირმა ოსია	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	აფხაზური	არაქართულენოვანი (აფხაზურენოვანი; მიზნობრივი ჯგუფი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლის მოსწავლეები)	-	
	მათემატიკა	მათემატიკა	სავალდებულო	IX	ავთანდილ საგინაშვილი	1442	მათემატიკა	თინა ბექაური, ავთანდილ საგინაშვილი, გიორგი ბექაური	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-
					შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1472	მათემატიკა 9	ნადეჟდა ჯაფარიძე, მაია ნილოსანი, ნანი ნულაია	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-
					შპს „გამომცემლობა ინტელექტი“ (ს/ნ 202959101)	1516	მათემატიკა	გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მეზონია, ლამარა ქურჩიშვილი	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ფიზიკა	სავალდებულო	IX	შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“ (ს/ნ 204876777)	1530	ფიზიკა	თემურ შენგელია, გიორგი ლომიძე, თეიმურაზ შენგელია, მერაბ ტულუში, ინდირა ნატრიაშვილი	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	შპს „გამომცემლობა კლიო“-ს (ს/ნ 202210393) და შპს „გამომცემლობა მერიდიანი“-ს (ს/ნ 200004850) ერთობლივი ნაწარმოები	
				შპს „დიოგენე“ (ს/ნ 402131769)	1521	ფიზიკა	ქეთევან ტატიშვილი	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-	
				შპს „გამომცემლობა კლიო“ (ს/ნ 202210393)	1508	ფიზიკა	რუსუდან ქანთარია, ლეილა ჩიჩუა, დინა ქიმერიძე, ქეთევან სეფიაშვილი	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-	
	ქიმია	სავალდებულო		შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“ (ს/ნ 204876777)	1513	ქიმია	თინათინ ბუთხუზი, თამარ ხატიასაშვილი, სოფიკო ფაცაცია, მარინე კუჭუხიძე	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-	
	ბიოლოგია	სავალდებულო	IX	შპს „ტრიასი“ (ს/ნ 405270914)	1470	ბიოლოგია 9	ელნარ (ნანა) ზაალიშვილი, თინათინ ზარდიაშვილი	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	შპს „გამომცემლობა კლიო“-ს (ს/ნ 202210393) და შპს „გამომცემლობა მერიდიანი“-ს (ს/ნ 200004850) ერთობლივი ნაწარმოები	
			IX	შპს „გამომცემლობა კლიო“ (ს/ნ 202210393)	1503	ბიოლოგია	მარინა სეხნიაშვილი	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-	

გრიფირებული სახელმძვანელოები 2021

საზოგადოებრივი მეცნიერებები	ისტორია	სავალდებულო	IX	შპს „ლოგოს პრესი“ (ს/ნ 204957298)	1435	ისტორია 9	მზია სურგულაძე, რუსუდან ლაბაძე, შორენა მურუსიძე, ვლადიმერ კეკელია, მანანა ქურთუბაძე, გიორგი ანჩაბაძე, დოდო ჭუმბურიძე, ლაშა ბერაია, ლაშა კერესელიძე, თეიმურაზ შალამბერიძე, ნინო აბულაძე, თამარ შალვაშვილი, თამარ უზუნაშვილი	მოსწავლის ნიგნი; მოსწავლის რვეული (თემატური კონტურული რუკები);	ქართული	ქართულენოვანი	-
				შპს „დიოგენე“ (ს/ნ 402131769)	1523	ისტორია	ნატო ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, არჩილ თაბუკაშვილი, ნათია ფირცხალავა			-	
	გეოგრაფია	სავალდებულო	VIII	შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1456	გეოგრაფია 8	მაია ბლიაძე, დავით კერესელიძე, მანანა სეხნიაშვილი	მოსწავლის ნიგნი; მოსწავლის რვეული (თემატური კონტურული რუკები);	ქართული	ქართულენოვანი	-
				შპს „საქართველოს აკადემიური გამომცემლობა“ (ს/ნ 6405125421)	1528	გეოგრაფია	ზურაბ ლაოშვილი, ნათელა ძანაშვილი-ყანაშვილი, თამილა ჩუბინიძე, მანანა ჯაღუგიშვილი			-	
			IX	შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1458	გეოგრაფია 9	მაია ბლიაძე, დავით კერესელიძე, მანანა სეხნიაშვილი	მოსწავლის ნიგნი; მოსწავლის რვეული (თემატური კონტურული რუკები);	ქართული	ქართულენოვანი	-
				შპს „დიოგენე“ (ს/ნ 402131769)	1497	გეოგრაფია	ირმა კუჭავა, ზურაბი ჯიშკარიანი			-	
	მოქალაქეობა	სავალდებულო	IX	შპს „დიოგენე“ (ს/ნ 402131769)	1522	მოქალაქეობა	სოფიო ბაჩილავა, დავით ლოსაბერიძე, მინდია გოგოჭური				-
				შპს გამომცემლობა სიდი – ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი (ს/ნ 200278216)	1506	მოქალაქეობა	ნინო ტალახაძე, ნინო კაპანაძე, გულნაზ ერქომაიშვილი, მზიური შავაძე, ეკა მურუსიძე	მოსწავლის ნიგნი; მასწავლებლის ნიგნი	ქართული	ქართულენოვანი	-
				შპს „გამომცემლობა კლიო“ (ს/ნ 202210393)	1527	მოქალაქეობა	ეკა სიმსივე, მაია გოგოლაძე, მანანა ჯინჭარაძე, შორენა ტყემალაძე			-	
	უცხოური ენები	პირველი უცხოური ენა – ინგლისური	სავალდებულო	IX	შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1492	English 9	თამარ ჯაფარიძე	მოსწავლის ნიგნი; მოსწავლის რვეული; მასწავლებლის ნიგნი; ელრესურსი მასწავლებლის ნიგნისთვის (აუდიო მასალა)	ინგლისური	ქართულენოვანი/არაქართულენოვანი
მეორე უცხოური ენა – გერმანული		სავალდებულო	IX	შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1460	Deutsch A2.3	ნინო გიორგანაშვილი, შორენა კვანჭიანი	მოსწავლის ნიგნი; მოსწავლის რვეული; მასწავლებლის ნიგნი; ელრესურსი მასწავლებლის ნიგნისთვის (აუდიო მასალა)	გერმანული	ქართულენოვანი/არაქართულენოვანი	-
მეორე უცხოური ენა – ფრანგული		სავალდებულო	IX	შპს ზებრა გრუპი (ს/ნ 205200502)	1448	Amis et compagnie 3	Colette Samson	მოსწავლის ნიგნი; მოსწავლის რვეული; მასწავლებლის ნიგნი; ელრესურსი მასწავლებლის ნიგნისთვის (აუდიო მასალა)	ფრანგული	ქართულენოვანი/არაქართულენოვანი	-
მეორე უცხოური ენა – რუსული		სავალდებულო	VIII	შპს „ოცდამეერთე“ (ს/ნ 205007534)	1445	Русский Язык 8	მარინე ბარსეგოვა	მოსწავლის ნიგნი; მოსწავლის რვეული; მასწავლებლის ნიგნი; ელრესურსი მასწავლებლის ნიგნისთვის (აუდიო მასალა)	რუსული	ქართულენოვანი/არაქართულენოვანი	-
შპს „სულაკაურის გამომცემლობა“ (ს/ნ 6402121468)	1498	Русский Язык 8		მეგი კობერიძე		-					

მასწავლებლის პროფესიული ჯილდო

გაიცანით საუკეთესო ათეული



აზა სანაშვილი ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლის ფიზიკის, ბუნებისმეტყველების, მენარმეობის საფუძვლების და სპორტის მასწავლებელი

როდესაც ათეული გამოაცხადეს, განსაკუთრებული ემოცია არ მქონია, რადგან ჩემს თავს ათეულში ყოველთვის ვხედავდი, მჯეროდა, რომ აუცილებლად მოხვდებოდი...

ნიკო კეცხოველის კონკურსში მონაწილეობი ჩემი ეკოკლუბით. ბატონმა ლადო აფხაზავამ, რომელიც უფრო იყო, მკითხა, ხომ არ ვაპირებდი ჩემი თავის წარდგენას...

პასუხისმგებლობა ერთი ათად გამეზარდა. ვფიქრობ, სწავლების ჩემი მეთოდები და პრინციპები სიახლე იქნება საზოგადოებისთვის და მთელ საქართველოს გაგაცნობს...

5 საგანს ვასწავლი, ორ ენაზე. 3 ენაზე მოსაუბრე მასწავლებელი ვარ - ჩემი მშობლიური ენა, ქართული (ჩემთვის მესამე ენა) და რუსული (მეორე, რადგან 40 წლის განმავლობაში რუსულ სექტორზე ვმუშაობდი)...

ცვტვრობი დუისში, ჩემს მეორე სოფელში, სადაც ომის შემდგომ დავებინადე. თემისგან მუდმივად ვგრძნობ მაღლიერებას, თითოეული მშობლისგან, თითოეული ადამიანისგან...

აქ რომ ჩამოვედი, ქართული ენა ვიცოდი, მაგრამ უმაღლესი განათლება რუსულად მქონდა მიღებული. საქართველოში დავიბადე, შემდეგ, მეორე ასაკში, ქვეყნიდან წავედი და დაახლოებით, 25 წლის შემდეგ დავბრუნდი...

სწავლების განსხვავებული მეთოდები მე თვითონ შევქმენი ჩემი მოსწავლეებისთვის, რა თქმა უნდა, ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე. ზოგჯერ ამ გეგმიდანაც ვუხვევ და ჩემივე მეთოდებით, ძალიან მარტივად ვასწავლი...

ვარ ძალიან აქტიური მოქალაქე და ბევრ პროექტში ჩაერთო მასწავლებელს, ზოგადად ქალბატონები, არაფორმალური განათლების მიმართულებით. ბევრ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობ და შეიძლება ითქვას, რომ ეს ორგანიზაციები ჩვენს სეზონში შემოვიყვანე...

მოსწავლეებს ვასწავლი პროექტების წერას და თვითრეალიზაციას. თითქმის ყველა ჩემმა მოსწავლემ, მე-11 კლასში, იცის ნებისმიერ იდეას როგორ მოარგოს რაღაც პროექტი და განახორციელოს, როგორც პატარა ბიზნესი...

სკოლაში პროფესიული კურსი გაცხენი. სკოლის და ხეობის ბავშვებს ვასწავლი ხელსაქმეს.

ბუნებით ისეთი ადამიანი ვარ, რომ არ ვერძობ, მუდმივ ძიებაში ვარ, თავისთავად, მასწავლებელიც ასეთი ვარ. განუწყვეტელი ვეძებ ცვლილებებს და მიწა, ეს სხვებისთვისაც გადამდები იყოს...

ასეთი რეჟიმის მიუხედავად, მაინც გეცხვი, რომ არ ვიღლები, ლამე სულ იმაზე ვფიქრობ, სწრაფად გათენდეს, რომ ჩემს სამსახურში მივიღე და იქ გალიმებული სახეები ვნახო...



მარიამ ხარიშვილი თბილისის სერვენტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის გეოგრაფიის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი

ძალიან ემოციური ადამიანი ვარ და ნებისმიერ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები, ცდილობ, ყველა დასახული მიზანი მაქსიმალურად განვახორციელო. შეიძლება ცოტა სასაცილოდაც კი მოგეჩვენოს, მაგრამ მეშინოდა სამ საათზე ინფორმაციის მოსმენა არჩეული ათეულის შესახებ და ჩემს უახლოეს მეგობარს, შარშანდელი ხუთეულის გამარჯვებულს, მარიკა ვართუმაშვილს ვთხოვე, რომ ენახა ფინალისტების სია...

რაც შეეხება კონკურსში მონაწილეობას, ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, ვყოყმანობდი, მაგრამ მაინც ჩავთვალე საჭიროდ, რომ ჩემი ოცდაათწლიანი სამუშაო კარიერის გამოცდილება გამეზიარებინა კოლეგებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის. ამ კონკურსში სამი წლის წინ ვიღებდი მონაწილეობას, თუმცა ფინალში ვერ გავედი...

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო ყველა მასწავლებლისთვის, პირველ რიგში, არის კარიერული წინსვლისა და პროფესიული მიღწევების აღიარება. ასევე ყველა ფინალისტს აქვს შესაძლებლობა, თავისი განსაკუთრებული უნარი და ნიჭი გამოიყენოს და გააზიაროს არა მხოლოდ თავის სკოლის და თემის ფარგლებში...

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ წლების განმავლობაში კონკურსი ძალიან დაიხვეწა და მონაწილე მასწავლებლებს რიცხვი სულ უფრო იზრდება, რაც მთავარია, ყველა პედაგოგს აქვს შანსი, მაქსიმალურად წარმოაჩინოს თავისი პედაგოგიური გამოცდილება...

რომელსაც მათი თვალთახედვით აქვს გამორჩეული მიდგომები როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სწავლებისას. ჩემ შემთხვევაში, მინდა, ყურადღება გადამახვილო ორ ფაქტორზე, ესენია: არაფორმალური განათლების როლი განათლების სისტემაში და ის საინტერესო აქტივობები, რომლებიც ძალიან აქტიურად განვახორციელებ პანდემიის პერიოდში. არაფორმალური განათლება ალბათ საკვანძო ელემენტია ყველა მასწავლებლისთვის და მოსწავლისთვის. ამ დროს მოსწავლე მაქსიმალურად ცდილობს რეალიზებას და იმ უნარების გამოვლენას, რასაც ვერ ახერხებს ჩვეულებრივ სასწავლო პროცესში...

ბოლოს, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემს მოსწავლეებთან ერთად აქტიური ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში. „მეგობრობის ხიდი“ გაცხადა საქართველოს საზღვარს და მჭიდრო კავშირი გვაქვს მაროკოს ქალაქ ფესის ერთ-ერთ ნაწყენ სკოლასთან. ასევე, მინდა აღვნიშნო თანამშრომლობა იაპონიასთან, პროექტი „Global Classroom“ - ყოველ შაბათს, ვუერთდებით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსწავლეს: მიმდინარეობს დისკუსიები მრავალ საინტერესო თემაზე, რის შედეგადაც მოსწავლეებს უვითარდებათ კომუნიკაციის უნარი. ბოლოს ვახსენებ კიდევ ერთ პროექტს რუმინეთთან, რომელსაც ეწოდება „საერთაშორისო პასპორტი“...

ვფიქრობ, რომ ჩემი გამოცდილება წაადგება მასწავლებლებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო ასპარაზზეც. ასევე, ეს პროექტები ხელს შეგიწყობს, რომ საქართველო მსოფლიოს სხვა კუთხითაც დაეჩინებოდეს.

ახითუარიენტო დასახარება

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ნინო ხუნდაძე
შეფასებისა და გამოცდის ეროვნული ცენტრის ხელოვნების ჯგუფის ხელმძღვანელი



სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო ტესტები შედგენილია იმ პროგრამის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ამდენად, არსებული გრიფორებული სახელმძღვანელოები გაძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენს გამოცდაზე წარმოდგენილი საკითხებისათვის საუკეთესოდ მოემზადოთ.

- აბიტურიენტს გამოცდაზე მოეთხოვება:
- ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენება;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცნებებისა და ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა და მიზანმიმართული გამოყენება ნამუშევრის შექმნისას თუ ანალიზის დროს;
- ეპოქის, მხატვრული მიმდინარეობისა და სტილისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების გამოვლენა და მათი დაცემის რეალიზაცია, გეოგრაფიულ, ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ საფუძვლებთან, ანუ ამ საკითხების კონტექსტში განხილვა;
- ხელოვნების ნაწარმოებებს შორის მსგავსი და განსაკუთრებული ნიშნების მიგნება და შედარებითი ანალიზი. მოგესხებათ, ჩვენი ტესტის უმეტესი ნაწილი შედარებითი ანალიზის მეთოდს ეფუძნება და ამ დროს მნიშვნელოვანია ანალიტიკური აზროვნების უნარის გამოვლენა;
- შემოქმედის გამომსახველობითი ენის, სტილის თავისებურებებისა და სახვითი საშუალებების გააზრება და გარკვეული გავლენების აღმოჩენა;
- ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი, შეფასება, არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება;
- ხელოვნების ნაწარმოებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

- საგამოცდო ტესტით მონმდება:
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- საკითხის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- შედარებითი ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი;
- არგუმენტირების უნარი;
- შემოქმედებითი უნარი, რომელიც სწორედ იმ შემთხვევაში გამოვლენილია, რომელიც, კარგი იქნება, თუ ამოიკითხავთ თქვენს ნამუშევარში – რა დამოკიდებულება გაქვთ ამა თუ იმ ხელოვნების ნიმუშის მიმართ.

რაც შეეხება თვითონ ტესტის სტრუქტურას, 43 1-ტულიანი დავალებაა, რომელიც დაფუძნებულია ცოდნაზე, გაგებასა და გამოყენებაზე. ეს არის ტესტის 61%. საკითხები, პროგრამის შესაბამისად, გადახანილებულია შემდგენიარად – როგორც ქართული ხელოვნებიდან, ასევე მსოფლიო ხელოვნების ისტორიიდან; ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილი, სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები. უნდა გამოვლინოთ თქვენი ცოდნა იმ ტერმინების, რომლებიც დაკავშირებულია ამ საგანთან და იმ სახვითი საშუალებებისა და ხერხების ცოდნა, რომლებიც ხელოვნების მხატვრულ ენას წარმოადგენს და რომელთა საშუალებითაც ქმნიან შემოქმედები ხელოვნების ძალიან საინტერესო ნიმუშებს.

გვაქვს როგორც დახურული, ასევე ღია დავალებები. ჩვენი ტესტის მეორე ნაწილი – 39% – ანალიზის, სინთეზისა და შეფასების ფაზაზე დაფუძნებული.

მთლიანი ტესტი 70-ქულიანია, ყველაზე დაბალი გამსვლელი ქულაა 18. დამერწმუნებით, რომ არც ისე რთულია 18 ქულის მიღება, თუ ადამიანს ოდნავ მაინც აქვს წარმოდგენა ხელოვნებაზე და მეტ-ნაკლებად ესმის მხატვრული ენა. ყველა დავალებას ახლავს ვიზუალური მასალა, რომლის დათვალიერება იძლევა იმის შესაძლებლობას, აბიტურიენტს საერთოდ რომ არ შეეძლოს ამ მასალაზე წარმოდგენა, დაკვირვების უნარით, კითხვების გარკვეულ ნაწილზე ძალიან მარტივად შეძლოს პასუხის გაცემა.

ჩვენი ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია დამხმარე კრებული, რომელიც წარმოადგენს შეგიქმნით, თუ რა ტიპის კითხვებია გამოცდაზე, ასევე შეგიძლიათ ამოიკითხოთ რეკომენდაციები, როგორ არ უნდა დაიხნეთ გამოცდაზე და როგორ გასცეთ თითოეულ კითხვას სრულყოფილად პასუხი.

საგამოცდო ტესტის პირველ ბლოკში დახურული დავალებების 3 ჯგუფია, თითოეული ჯგუფის კითხვები სახვით ხელოვნების სხვადასხვა დარგის საოლუსტრაციოდ წარმოდგენილ ერთ ან ორ ნიმუშს შეეხება. ყოველ კითხვას 4 სავარაუდო პასუხი ახლავს, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. მოცემულია 6-7 ან, ზოგიერთ შემთხვევაში, 8 კითხვა, რომელიც ხელოვნების მხოლოდ ერთ ნიმუშთანაა დაკავშირებული. სლადზე მოცემულია ეს ნიმუში, თავისი კითხვით. იწყება მარტივი კითხვებით და შემდეგ რთულდება, ანალიზის შესაფერის კითხვებზე გადადის. თუმცა, აქაც ერთმნიშვნელოვანი არ არის განსაზღვრა იმისა, ვისთვის რომელი კითხვა უფრო რთულია – ზოგიერთისთვის მთავარია ფაქტობრივი მასალის ცოდნა და ეს ფაქტობრივი მასალა კარგად იცის, ზოგისთვის კი ანალიტიკურ კითხვებზე პასუხის გაცემა უფრო ადვილია იმიტომ, რომ იგი ადვილად იყენებს დაკვირვების უნარს და სწორედ დაკვირვების შედეგად აღმოაჩენს კითხვებზე პასუხს.

კარგი იქნება, თუ ყურადღებით ნაიკითხავთ თითოეულ კითხვას იმიტომ, რომ თვითონ კითხვა იძლევა ნაწილობრივ პასუხს შეკითხვაზე და თქვენ მარტივად შეძლებთ ორიენტირებას ოთხ დახურულ პასუხში, რომელიც მოცემულია. აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება, რომ ხშირად უარყოფის შემცველი კითხვებია დასმული და იმაზე უკიდრ უპასუხოთ, რა არის, არამედ – მოცემული პასუხებიდან რომელი არ არის.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, შეიძლება ითქვას, რომ, დახურული კითხვების შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანია:

დავალების შემდეგი ტიპია წინადადების შეგება:

აქ მოცემულია ძალიან ერთმნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალის ამსახველი კითხვები. ამ დავალებებში გამოვლინდება თქვენი ცოდნა ფაქტობრივი მასალისა, ასევე იმ ტერმინების, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ხელოვნების ნაწარმოების ანალიზისას და საერთოდ, ძალიან კარგად აფასებს იმას, თუ როგორ ფლობთ ამ საგანს. მაგალითად, რამდენიმე ნიმუში:

– ფერების შესაზავებელ დაფას ენობა. უნდა ჩასვით სიტყვა – პალიტრა.

– ფერთა თეორიაში და არ განიხილება, როგორც ფერი. უნდა ჩასვით – თეთრი და შავი.

შემდეგი დავალბების ტიპი – "ჭეშმარიტია-მცდარია". აქაც მოცემულია ფორმულირება და ამ წინადადებაში თქვენ უნდა აღმოაჩინოთ, რამდენად სწორად არის ფორმულირებული ესა თუ ის აზრი. ამ ტიპის დავალბებებიც ძალიან ყურადღებით უნდა ნაიკითხოთ.

აქ, მაგალითად, არის – ეგვიპტურ ხელოვნებაში ამარნის კულტურის (ენხატონის პერიოდის) პორტრეტულ ნიმუშებს გარეგნული სახასიათო ნიშნების რეალისტური ასახვა ახასიათებს. მოხმობილი გვაქვს თვითონ აპლიკანტთა ნამუშევრები, რომლებიც შეფასებულია სხვადასხვა ქულით.

ეს დავალება 1 ქულით ფასდება და თუ აპლიკანტი დაწერს – ენხატონის პერიოდში მხატვრები ქმნიდნენ გაიდელებულ პორტრეტს, რის გამოც მათ არ ახასიათებთ გარეგნული სახასიათო ნიშნების რეალურობა – ასეთ პასუხში, რასაკვირველია, აპლიკანტი მიიღებს 0-ს. ხოლო პასუხში – ფორმულირება ჭეშმარიტია, აუცილებლად უნდა ეწეროს – ეგვიპტურ ხელოვნებაში ამარნის კულტურის პორტრეტულ ნიმუშებს გარეგნული სახასიათო ნიშნების რეალისტური ასახვა ახასიათებს. მონიშნული უნდა იყოს პასუხი „ჭეშმარიტია“ იმიტომ, რომ ეს ფორმულირება თავისთავად ჭეშმარიტია და არ საჭიროებს სხვა აზრის მოხმობას.


შემდეგი ტიპის დავალება გახლავთ – დაადგინეთ შესაბამისობა.

მოცემულია გრაფიკული ან ფერწერული ნიმუში, ან დეტალი ამ ნიმუშიდან. თვითონ სურათზე დატანილია ნიმუში და უნდა დაადგინოთ შესაბამისობა ამ ნიმუშებსა და იმ სახვით საშუალებებსა და ხერხებს შორის, რომელიც მოცემულია. აქვე წარმოდგენილ დაფაზე X ნიშნით უნდა აღინიშნოს შესაბამისი უჯრა. ეს დავალება თავისთავად ძალიან საინტერესოა და უკვე იძლევა წარმოდგენას იმაზე, თუ რამდენად ღრმად ერკვევა აპლიკანტი სახვითი ხელოვნების მხატვრულ ენაში.

შემდეგ მოდის ძალიან საინტერესო დავალბები – ღია კითხვები. ღია კითხვების ბლოკში 4 დავალებაა, აქედან სამი 4-ქულიანია, ხოლო ბოლო დავალება 15-ქულიანია და

აბიტურიენტთა დასასმარაგლად


საკმაოდ მაღალი წონის მატარებელია, რადგან ითვლის- წინებს შედარებით ანალიზის მეთოდის გამოყენებას.



აქ წარმოდგენილია რენე მაგრიტის სურათი და აქვეა მითითებული, რომელთა მიხედვითაც უნდა შეასრულოს აპლიკანტმა ეს დავალება – გააანალიზეთ წარმოდგენილი სურათის მხატვრული თავისებურებები სახვითი საშუალებების მიხედვით; თქვენ მიერ გააანალიზებული სახვითი საშუალებების მიხედვით მიაკუთვნეთ სურათი მხატვრულ სტილს, მიმდინარეობას; განმარტეთ თქვენ მიერ დასახელებული მხატვრული სტილის, მიმდინარეობის ზოგადი თავისებურებები; იმსჯელეთ სტილის, მიმდინარეობისა და სურათის მხატვრულ-სტილურ შესაბამისობაზე. დავალება 4-ქულიანიანია.

აბიტურიენტებს ვურჩევდი, რომ ასეთი დავალების შესრულების დროს საჭირო არ არის ზედმეტი ფაქტების მოყვანა, ბიოგრაფიული ცნობების ან ინფორმაციის მონოდება თვითონ მხატვარზე ან წარმოდგენილ სურათზე.


ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც აპლიკანტები არასაჭირო ინფორმაციით ავსებენ ამ არეს და ძალიან ბევრ შეცდომას უშვებენ – რაც უფრო მეტს წერ და რაც უფრო მეტად გინდა, რომ გამოავლინო ცოდნა (ამავდროულად, შენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არ არის „მყარი“, ცოდნის თვალსაზრისით), უფრო მეტ შეცდომას უშვებ. ამიტომ, ჯობია, რაც შეიძლება ნაკლები წეროთ და კონკრეტულ კითხვაზე კონკრეტული პასუხი გასცეთ.



რომელი ეპოქის ან/და სტილის არქიტექტურის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე? წარმოაჩინეთ თქვენ მიერ დასახელებული სტილის განმსაზღვრელი მხატვრული ნიმუშები. გააანალიზეთ წარმოდგენილი ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურა და დაადგინეთ, რომელი ეპოქის არქიტექტურული ნაგებობების თავისებურება უდევს საფუძვლად წარმოდგენილ ნიმუშს. თქვენი მოსაზრება გაამყარეთ არგუმენტებით.

ტადრების გეგმარებისა და სტრუქტურის მსგავსია, ფასადის არქიტექტურულ გააზრებაში იგულისხმება დეკორატიულიად გაფორმებული პორტალი, რომელიც აქცენტირებულია კარის სამი ჭრილით, შეწყვილებული კოშკებით, რომელიც პორტალის მარჯვენა და მარცხენა მხარეს კარების აყოლებზეა წარმოდგენილი – ეს ყველაფერი თუ იქნება დასახელებული და ასევე, აღნიშნავს, რომ ეს არის არ-ნუვოს სტილის ნაგებობა, რომელიც ეფუძნება გოტიკური ტადრის არქიტექტურულ სტრუქტურას, აპლიკანტი დაიმსახურებს უმაღლეს ქულას. რასაკვირველია, ჩამოთვლილი უნდა იყოს ის ნიმუშებიც, რომლითაც განსაზღვრა, რომ ეს არის არ-ნუვოს, ანუ მოდერნის სტილი. არ არის საჭირო ავტორის დასახელება, თუმცა ეს საკმაოდ ცნობილი ძეგლია, მაგრამ თუ აპლიკანტს არ გაახსენდება ავტორი და არც სახელწოდება ამ ძეგლის, მაგრამ სტილის იდენტიფიცირებას მოახდენს და არქიტექტურული სტრუქტურის საფუძველს დაასახელებს, იგი დაიმსახურებს უმაღლეს ქულას.


შესამე ასეთი ტიპის დავალება – საილუსტრაციო მასალაზე წარმოდგენილი ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის ფერწერული სურათი „იმერეთი – დედაჩემი“.



თქვენი აზრით, რა იდეური კავშირია სურათის წინა და უკანა პლანის გამოსახულებებს შორის? გააანალიზეთ სურათი და დაადგინეთ რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს მხატვარი (სულ მცირე, ორი საშუალება მაინც, მაგალითად, სახვითი ხელოვნების ელემენტი, პრინციპი, მხატვრული ხერხი) სურათზე აზრისა და იდეის გადმოსაცემად.

შეფასების სქემაში ანალიზია მოცემული, როგორც ტიპის განმარტებები უნდა ჰქონდეს აბიტურიენტს, როგორც უნდა ჰქონდეს განვითარებული აზრი. აპლიკანტმა უნდა წარმოაჩინოს მშობლიურ კუთხესა და დედას შორის სიმბოლური და იდეური კავშირი – სამშობლო, როგორც იმ კუთხის შეიღების ზოგადი მშობელი (იმერეთის პეიზაჟი უკანა პლანზეა წარმოდგენილი და დედის პორტრეტი – წინა პლანზე). უკანა პლანზე მხატვარი იმერეთის განზოგადებული ხასიათის, უფრო მეტიც, აბსტრაქტულ პეიზაჟს წარმოგვიდგენს (სამშობლო, ერთი მხრივ – კონკრეტული, თუმცა, ზოგადი ცნება ადამიანათვის) მაშინ, როცა წინა პლანის გამოსახულებები საკმაოდ რეალისტურია და მეორეხარისხოვანი დეტალებიც სკრუპულოზურადაა ასახული (ყვავილები, ბალახი, ქალის ხელები, ჩაცმულობისა და საქმიანობის დეტალები). დედა, როგორც კონკრეტული პიროვნება. დედის გამოსახულება, მართალია, რეალისტურია, თუმცა მხატვარი ქალის – დედის – ზოგად მხატვრულ სახეს წარმოგვიდგენს, რასაც გამოსახულების განზოგადებული ფორმები და სახასიათო პორტრეტული ნიმუშები უარყოფა განსაზღვრავს.

ეს დავალება, ერთი მხრივ, შედარებით რთულია, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ დავალების გასწორებისას, ძალიან ბევრი საკმაოდ კარგად გააზრებული ნაშრომი წაეკითხეთ. ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქვს ადამიანს დაკვირვების, დეტალების აღმოჩენის, ანალიტიკური აზროვნების და ამ ანალიზის საფუძველზე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარები.



აქ, როგორც ხედავთ, არ იყო აუცილებელი, ამოგეცნოთ, ვინ არის ავტორი, რა ნაწარმოებია წარმოდგენილი, არამედ სწორედ ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები უნდა დაგეგმინათ.

ბოლო დავალება, რომელიც აქ სანიმუშოდ გვაქვს წარმოდგენილი, შედარებით ანალიზის 15-ქულიანი დავალებაა.



წარმოდგენილია ელ გრეკოს „მენინები“ და პაბლო პიკასოს ინტერპრეტაცია ამ სურათის. ამ დავალებას ყოველთვის ახლავს მითითება და უნდა შესრულდეს 4 მითითების საფუძველზე:

1. დააკვირდით წარმოდგენილ ნიმუშებს და იმსჯელეთ ორიგინალისა და ამავე თემაზე შექმნილი ინტერპრეტაციის მსგავსებასა და განსხვავებაზე.

რა არის გამოსახული მოცემულ სურათზე? ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია ავტორების მიერ გამოყენებული მხატვრული სახისა და ხასიათის შესაქმნელად? – ამ მითითებას ყველაზე მაღალი წონა აქვს, ის 5-ქულიანია.

2. ხელოვნების თითოეული ნიმუშის სტილური მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნეთ ხელოვნების ისტორიის გარკვეულ პერიოდს და/ან მხატვრულ მიმდინარეობას. დაადასტუროთ თქვენი მოსაზრება. – ეს მითითებაც საკმაოდ მაღალი წონის არის, 4-ქულიანია.

3. განიხილეთ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში. იმსჯელეთ, ახდენს თუ არა გავლენას ისტორიის და კულტურის თავისებურებები ხელოვნების განვითარებაზე. რამდენადაა ეს გავლენები ასახული მოცემულ გამოსახულებებზე. თქვენი მოსაზრებები გაამყარეთ არგუმენტებით. – ეს ნაწილიც 4-ქულიანია.

4. გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების ამ ნიმუშების მიმართ. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

ეს გახლავთ დავალების 2-ქულიანი ნაწილი. მინდა გითხრათ, რომ ეს დავალებებიც, უმეტესად, ძალიან საინტერესოდ შესრულებული გვხვდება ხოლმე. შეფასების სქემაზე ძალიან მკაფიოდაა ასახული, როგორი ნაშრომი რა ქულას იმსახურებს.

Table with 2 columns: 'დავლების 42-ის შედეგების სტუსი' and 'შედეგების სტუსი'. It lists different levels of achievement (I, II, III, IV) and their corresponding descriptions in Georgian.

ნაეკის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კრებულში წარმოდგენილია ნიმუშები, საილუსტრაციო მასალა, როგორც ნაწერში იწერება 15 ქულა, როგორში – 8 ქულა, 3 ქულა და ა.შ. გისურვებთ წარმატებას და გიჩვენებთ, გაერკვეთ ხელოვნებაში, ვინაიდან ის საინტერესო ცხოვრებას გაზარებთ.





„დიოგენე“ წარმოგიღვინთ IX კლასის ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს

გეოგრაფია



ფიზიკა



სახელმძღვანელოს ავტორები:


ზურა ჯიშკარიანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი. გეოგრაფი, „ნიუ-ტონის თავისუფალი სკოლის“ უფროსი მასწავლებელი;

ირმა კუჭავა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის მაგისტრი. გეოგრაფი, „ნიუტონის თავისუფალი სკოლის“ უფროსი მასწავლებელი.

სახელმძღვანელოს ავტორი:

ქეთევან ტატიშვილი – ბაქსეუდის საერთაშორისო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, რამდენიმე ტრენინგ-მოდულის თანაავტორი, ბუნების, ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების, საატესტატო გამოცდებისთვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი.

მოქალაქეობა



ისტორია



სახელმძღვანელოს ავტორები:

სოფიო ბაჩილავა – სკოლა „ოპიზას“ სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სოციალური მუშაობის მაგისტრი, პროექტ „ტელესკოლის“ მასწავლებელი, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის თბილისის რეგიონალური საბჭოს წევრი. 2013-2017 წლებში სასკოლო სამოქალაქო განათლების კლუბების კოორდინატორი. 2021 წელს გახდა წლის საუკეთესო მასწავლებელი და შევიდა საქართველოს საუკეთესო მასწავლებელთა ათეულში;

დავით ლოსაბერიძე – დოქტორი ისტორიაში, ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის გამგეობის თავმჯდომარე, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;

მინდია გომოჭური – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრი. გავლილი აქვს თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამა Certified Financial Manager. აქვს ფინანსების მიმართულებით მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, ამჟამად არის ბორან მაინინგ ენდ კო.-ს დირექტორი.

სახელმძღვანელოს ავტორები:

ნათა ახმეტელი – „ნიუტონის თავისუფალი სკოლის“ პედაგოგი, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი. წლების განმავლობაში იყო მასწავლებლის სახლის ტრენერი. ავტორი ისტორიის სასკოლო, ასევე საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოებისა;

ბესიკ ლორთქიფანიძე – აკადემიური დოქტორი ისტორიაში, არქეოლოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, გ. რამიშვილის სახელობის ქ. თბილისის №20 საჯარო სკოლის მენტორი მასწავლებელი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორი, ავტორი ისტორიის სასკოლო, დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოების და 50-მდე სამეცნიერო პუბლიკაციისა;

არჩილ თაბუაშვილი – მედიევისტიკის მაგისტრი, „ნიუტონის თავისუფალი სკოლის“ ისტორიის მასწავლებელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი, განათლების ცენტრ „რენომეს“ ისტორიის ტრენერი, ააიპ „სასკოლო განათლების ტრენინგ ცენტრის“ დამფუძნებელი დირექტორი;

ნათია ფირცხალავა – საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის ევროპული სკოლის ისტორიის მასწავლებელი, ისტორიის მასწავლებელთა ტრენერი, ევროკლიოს წევრი.

გე-9 კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები იხილეთ ბმულზე: <https://bit.ly/3gKzHwA>



რედაქტორი:
ლალი ჯაბაძე

შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
მისამართი: აბაში წარმოების ბაზა, №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

იბეჭედა სტამბა „კოლორი“ კომპანიაში მისამართი ძ. თბილისი, ე. ბაღდაშაძის №3
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >

ფასი – 4 ლარი